07
3-543

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

ნათია ჯიქია

# პაოლო იაშვილი — პუბლიცისტი და რედაქტორი

10.01.10——ჟურნალისტიკა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

## ავტორეფერატი

თბილისი
2004

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

ნათია ჯიქია

# პაოლო იაშვილი — პუბლიცისტი და რედაქტორი

10.01.10—ჟურნალისტიკა

–1907

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

## ავტორეფერატი

თბილისი
2004

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრესის თეორიისა და პრაქტიკის კათედრაზე


სამეცნიერო ხელმძღვანელი – **ნოდარ ტაბიძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.01.10)

ოფიციალური ოპონენტები:

1. **თამაზ ჯოლოგუა**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.01.10)

2. **ზივი კაპანაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (10.01.10)


დისერტაციის დაცვა შედგება 2004 წლის "2" "აპრილს" "14⁰⁰" საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P 10.01 №5) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.
მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2004 წლის "20" "თებერვალს"

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი (**ნოდარ ტაბიძე**)

# ნაშრომის ზოგადი დახასიათება

*თემის აქტუალობა.* გასული საუკუნის 20-იანი წლები საქართველოს ისტორიაში მძაფრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ლიტერატურული მოვლენებით ხასიათდება. ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში მოდერნიზმის შემოსვლა და ევროპეიზაციის მცდელობა ამ პერიოდს უკავშირდება. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ მას, რასაც ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცისფერი ყანწების ორდენის პრეცენდენტი ჰქვია. ცისფერყანწელთა მოღვაწეობა დღემდე არაერთი ქართველი ლიტერატორისა და კრიტიკოსის კვლევის საგნად ქცეულა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, სულიერ ფასეულობათა გადაფასებისა და ზნეობრივ ღირებულებათა გადარჩევის ხანაში, მნიშვნელოვანწილად იზრდება ინტერესი ამ ლიტერატურული მოვლენის მიმართ. დღეს, ჩვენ ბევრად უფრო საინტერესოდ გვესახება ახლებური კუთხითა და მიდგომით გავაშუქოთ საუკუნის წინანდელი მოვლენები, განვსაზღვროთ "ქართველ ევროპელებად" წოდებული ცისფერი ორდენის წევრთა რეალური ადგილი და როლი არა მარტო ქართული პოეზიის, არამედ, ზოგადად ქართული კულტურის, ქართული ცნობიერების ისტორიაში. ვფიქრობთ, რომ მათი შემოქმედებითი მიზნები და ამოცანები ბოლომდე არ არის გამოაშკარავებული. სიმბოლიზმში მხოლოდ პესიმიზმის, მელანქოლიის, დეკადანსისა და მისტიციზმის მარცვლებს პოულობდნენ, იგი მიაჩნდათ ბურჟუაზიული რევოლუციის გადმონაშთად. მიგვაჩნია, რომ საუკუნის შემდგომ კვლავ იზრდება ინტერესი ამ ლიტერატურული მოვლენის მიმართ, დრომ დღის წესრიგში დააყენა ამ ფენომენის ახსნა და სწორი ანალიზი.